განკარგულება:**g-63. 63253388**
თარიღი:**04/12/2025**

მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) 3 ამსახველი ანგარიში. მას მოჰყვა მეორე და მესამე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშები 2020 წელს და 2024 წელს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებაში თანაბრად მნიშვნელოვანია ხელისუფლების ყველა დონის ჩართულობა. მდგრადი განვითარების ზოგიერთი მიზნის მიღწევა და რიგი ამოცანების შესრულება კი ექსკლუზიურად მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ მდგრადი განვითარების 8 მიზანი და 13 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად.

წარმოდგენილი მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის პროექტი სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, კანონმდებლობით მინიჭებული

უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად. ასევე, მუნიციპალიტეტის მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, დონორ ორგანიზაციებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო იმ აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად, რომლებიც არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მდგრადი განვითარების მიზნები და მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანები ასევე, ამოცანის შესრულების 17 ინდიკატორი, საბაზისო მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის) მოცემულია დანართი №2-ში. აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობას გაზომოს პროგრესი მიზნების მიღწევის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის ,,ბ''-ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „მდგრადი განვითარების მიზნების სამტრედიის მუნიციპალური დოკუმენტი“ (დანართი №1, დანართი №2).

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი